გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის შესყიდვის ხელშეკრულება № 6.

ქ. წალენჯიხა 9 იანვარი 2018 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი", მუნიციპალიტეტის მერის ბესიკ ფარცვანიას სახით, და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე „მანანა სახოკია" დამფუძნებელი მანანა სახოკიას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი".

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ – „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველმა" მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის ასიგნებების ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება „მიმწოდებელთან" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,(CPV-15893100 შერეული საკვები პროდუქტები) საშობაოდ და ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით უმწეო, დაბალშემოსავლიან და გაჭირვებული ოჯახებისათვის საკვები პროდუქტების ფუთების მომზადებაზე, შემდგომში საქონლის მიწოდება, და მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს: **4944.00 (ოთხიათასრვაასოთხმოცდასამი) ლარს. ერთი ფუთის ღირებულებაა 26.85 ლარი.**

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მოცულობის საფუძველზე.

3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. ერთი ფუთა უნდა შედგეს შემდეგი პროდუქტებისგან: 1 ცალი ქათამი, 1 კგ. შაქარი, 2 ცალი შედედებული რძე, 1 კილოგრამი ბრინჯი, 1 ლტ. რაფინირებული ზეთი, 1 ცალი მარგარინი, კანფეტი კარამელი 0.2 კგ, შოკოლადი 0.26 კგ, 1 ცალი მაიონეზი და 1 კგ. მანდარინი.

4.2. ფუთების რაოდენობა 184 ცალი.

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურების შესრულებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მოწოდებული საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1. მისაწოდებელი საქონლის მიწოდების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2017 წლის 20 იანვრამდე.
6.2. ადგილი:
6.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ. წალენჯიხა სალის ქ №5. (მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა)

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება „შემსყიდველის" მიერ მოთხოვნილი საქონლის „მიმწოდებლის" მიერ ჩაბარების შესაბამისად.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში, წარმოდგენილი სასაქონლო ზედდებულის და მიღება ჩაბარების აქტის შესაბამისად.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1. უზრუნველყოს მისაწოდებელი საქონლის მიწოდება „შემსყიდველის" მოთხოვნიდან უმოკლეს ვადაში.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. საჭირო დოკუმენტების „მიმწოდებლის" მიერ გადაცემის შემდგომ უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების 8.1. პუნქტის შესაბამისად.

10. მხარეთა უფლებები

10.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის

გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მოწოდებული მომსახურების ინსპექტირება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან და დასტურდება ბეჭდით დამოწმებითა და მხარეთა ხელმოწერებით.

17.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 9 იანვრიდან 2018 წლის 20 თებერვლამდე არსებული მხარეთა მიერ აღებული (წარმოშობილი) ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. მეწარმე „ მანანა სახოკია “
ს. კოდი 242739248	ს. კოდი 62001014595
მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. II სართული.	მისამართი: ქ. წალენჯიხა გ. მებონიას ქ. №2
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ტელ: 571 17 00 17	ბ. კოდი LBRTGE22
	ა/ა GE53LB0112129308103000.
	ტელ: 591 70 44 75
ბესიკ ფარცვანია	მანანა სახოკია